დანართი №2

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრი:
გიორგი კაკაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი:206155328

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანების №MES 6 25 0000452850 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 13 მაისს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა.
ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის გარემო, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტებს მოაწოდა ინფორმაცია(წერილი N MES 0 25 0000657442 12/06/2025) შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის მიერ ხელმოწერილი წერილი ადასტურებს რომ გაეცნო წარმოდგენილ დასკვნის პროექტს და ეთანხმება რეკომენდაციას. აღნიშნული წერილის შემდგომ ექსპერტებს დასკვნის დოკუმენტში ცვლილება არ შეუტანიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Aircraft Maintenance
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს სხდომის ოქმი N: 26/25; 24.03.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა რეგულირდება რექტორის 2025 წლის 24 მარტის №05/01 დადგენილებით დამტკიცებული წესით — „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ეტაპებს (მუხლი 4).

პროგრამის შემუშავება ხორციელდება რექტორის ბრძანებით დანიშნული პირის, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა(მონიტორინგის ნაწილში) და შესაბამისი ფაკულტეტის აქტიური ჩართულობით. გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ანალიზს უკეთებს შრომის ბაზრის კვლევებს, ეცნობა პროფესიულ სტანდარტს და ჩარჩო დოკუმენტაციას. მზადყოფნის ეტაპზე ის შუამდგომლობით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგაც იწყება პროგრამის შინაარსობრივი ფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების — დამსაქმებლების, დარგის ექსპერტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა მონაწილე პირების ჩართულობა. ინიციატივა კონკრეტული პროგრამის შემუშავების თაობაზე განიხილება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლებთან. გადაწყვეტილების მიღება ასევე ეფუძნება ICAO-ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და EASA-ს (ევროკავშირის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს)მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ პუბლიკაციებს. შესაბამისად ყველა პროგრამა, რომლის განხორციელებასაც უზრუბველყოფს საგანმანალებლო დაწესებულება პირდაპირმნიშვნელოვნად ეხმიანება დარგში არსებულ საჭიროებებს.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიაა — საზოგადოებას შესთავაზოს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პროფესიული და უმაღლესი განათლება ავიაციის სფეროში, მათ შორის საფრენოსნო მომზადებისა და საავიაციო ინჟინერიის მიმართულებით. შესაბამისად, პროფესიული პროგრამები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის 2021-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

პროგრამების მიზნობრიობა დასტურდება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ანალიზით. დარგობრივი საჭიროებები წარმოდგენილია როგორც კერძო კომპანიების, ასევე სახელმწიფო უწყებების წერილობით რეკომენდაციებში (მაგალითად: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, აეროპორტების გაერთიანება, Geosky, Georgian Airways და სხვ.). გამოყენებულია აგრეთვე Boeing-ის გლობალური პროგნოზი (2018-2037 წწ.), რომელიც ევროკავშირში ათასობით ავიატექნიკოსის საჭიროებაზე მიუთითებს. აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ პროგრამები პასუხობს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს.

დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისთვის.

პროგრამების შემუშავების არგუმენტია აგრეთვე სამთავრობო სტრატეგია — სამოქალაქო ავიაციის სფეროში „ღია ცის პოლიტიკის“ განხორციელება და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის განვითარება. დადასტურების დამატებითი საფუძველია სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ წერილობითი კორესპონდენცია, სადაც აღნიშნულია მზაობა, კომპეტენციის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის ინიციატივას და აღნიშნული პროგრამები მიიჩნევს მნიშვნელოვან წინაპირობად ავიაციის დარგების განვითარების და სპეციალისტთა პროფესიული კომპეტენციის გაძლიერებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილებები ეფუძნება მიზნობრივ და მრავალწყაროიან ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას როგორც უნივერსიტეტის ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან, ისე შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებთან — როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " ჩარიცხვის ძირითადი კრიტერიუმებია: **ინტეგრირებულ პროგრამაზე — საბაზო განათლების არსებობა, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე — სრული ზოგადი განათლება და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მიზნით ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრების წარმატებით გავლა და „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.**

აღნიშნული წინაპირობები მიზნად ისახავს პროგრამაში ისეთი პირების ჩართვას, რომლებიც ფლობენ იმ მინიმალურ ცოდნასა და უნარებს, რაც აუცილებელია სწავლის პროცესის ეფექტიანად ათვისებისა და პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული შედეგების დროულად მიღწევისათვის.

დაშვებასთან დაკავშირებული დამატებითი პროცედურები — სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა — დეტალურად განსაზღვრულია შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში".

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სამართლიან და თანასწორ მიდგომაზე დაფუძნებულ ადმინისტრაციულ პროცესს, რაც სტუდენტებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს და ამყარებს სწავლის პროცესის მიმართ ნდობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებით, დაწესებულება სისტემატურად აკვირდება ჩარიცხვის პროცესის ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს, რათა დაცული იყოს პროგრამის განხორციელების ხარისხი და მიზნობრიობა. ეს ინტერნალური მონიტორინგი უზრუნველყოფს როგორც შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან, ასევე სწავლის შედეგების მიღწევადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის პროცესის რეგულირება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას, მათი ხარისხიანი და ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას და სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის სათანადო პირობების შექმნას.

მეთოდოლოგია ეფუძნება კომპლექსურ ანალიზს და მოიცავს რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს:

- **ადამიანური რესურსი** –ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებლები.
- **მატერიალურ-ტექნიკური რესურსი** – აქცენტი კეთდება შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილ აუდიტორიებზე, ლაბორატორიებზე, პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებიც ან დაწესებულების საკუთრებაშია, ან ავტორიზაციის ვადით მისი სარგებლობის ფარგლებშია.
- **ფინანსური რესურსი** – შეფასდება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური მდგრადობა და დაფინანსების შესაძლებლობები.
- **პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები** – პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საწარმოო ბაზებისა და პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობა, რაც ხელშეკრულებით/მემორანდუმებით არის გამყარებული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, დოკუმენტი ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივ რეგულატორთა, კერძოდ EASA-ის (European Union Aviation Safety Agency), ICAO-ს (International Civil Aviation Organization) და სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილ დირექტივებსა და სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვრული რაოდენობის საბოლოო განსაზღვრა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " განსაზღვრულია 150 სტუდენტი. აქედან 100 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს , ხოლო 50 არაინტეგრირებული პროგრამაზე. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო სივრცეების და პრაქტიკის ობიექტზე მეცადინეობის ცხრილები სივრცეების გამტარობის თვალსაჩინოებისათვის. ასევე, ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს შემდეგი მიდგომით - ყოველწლიურად მიიღებს კვოტის ნახევარს, ანუ 50 სტუდენტს ინტეგრირებულზე და 25 სტუდენტს არაინტეგრირებულზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური ჩამონათვალი. თითოეული მოდულის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო რესურსები — სასწავლო მასალები, ლიტერატურა, ტექნიკური საშუალებები და მატერიალური ბაზა, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: A გარემო, B- გარემო, C-პრაქტიკა ხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს" ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში და შპს ჯეო სქაი ტექნიკსი (150 პროფესიულ სტუდენტზე) და სპორტის მოდულისთვის უნივერსიტეტს აქვს ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედანი.

უნივერსიტეტს აქვს შემდეგი სივრცეები პრქტიკული მეცადინეობისათვის:

- Boeing 747-ის ტიპის საჰაერო ხომალდის ძრავა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფურცლოვანი მეტალის დასამუშავებელი ჩარხები;
- ელექტროგაყვანილობის სტენდები;
- კომპოზიტური მასალებისა და ურღვევი კონტროლის ლაბორატორია;
- აერომეტრული ხელსაწყოების დასაკალიბრებელი მოწყობილობა;
- აეროდინამიკის და ფრენის დინამიკის ლაბორატორია;
- ავიონიკის ლაბორატორია;
- ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია;
- საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების ლაბორატორია;
- საავიაციო ხელსაწყოების ლაბორატორია;
- საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების ლაბორატორია;
- საავიაციო ძრავების ლაბორატორია;

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება, როგორც ვიზუალური შემოწმებით, ისე წარმოდგენილი რესურსის ფლობის დოკუმენტაციით.
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონულად. იხილეთ **ინდიკატორის 2.2.1.5 აღწერა.**

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი რესურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და მოდულების შინაარსს და ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს, რომ ხარისხიანად და სრულფასოვნად დაეუფლონ პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს მატერიალურ და სასწავლო რესურსებზე მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

უნივერსიტეტის დებულების (05/01 24.03.2025) თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის ორგანო „მმართველი საბჭო“ (მუხლი 8. პ.7.4.). საბჭოს თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებას გამოსცემს დადგენილების სახით (მუხლი 9.) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " დამტკიცებულია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) “ მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება საავიაციო ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეასრულოს საჰაერო ხომალდების მექანიკური სამონტაჟო სამუშაოები;
- შეასრულოს კაბელებზე სამუშაოები;
- შეასრულოს ელექტროობაზე სამუშაოები;
- შეასრულოს ავიონიკის სამუშაოები;
- შეასრულოს ფურცლოვან მეტალებზე სამუშაოები;
- შეასრულოს საჰაერო ხომალდის და მისი სისტემების ტექნიკური მომსახურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.კერძოდ: ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის ფასილიტაციით, განმახორციელებლების და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. გასაუბრების დროს დადგინდა რომ ხელმძღვანელი ხელმძღვანელობდა პროცესს და ჩართული იყვნენ განმახორციელებლები, ასევე პროგრამა შეთანხმდა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან და შემდეგ მოხდა მისი დამტკიცება. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამაში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები:

- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A); Aircraft Line Maintenance (A)
- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მარტის N69 ბრძანება "საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის სერტიფიცირების წესის" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 მარტის N76 ბრძანება "საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესის" დამტკიცების შესახებ;
- COMMISSION REGULATION (EU) No 1321/2014

თავად ჩარჩო დოკუმენტიც შემუშავებულია დაწესებულების ინიცირების საფუძველზე, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილა პროგრამის დანართები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" ითვალისწინებს 3 ზოგად და 16 პროფესიულ მოდულს - ჯამური 81 კრედიტის მოცულობით და პროფესიული მოდულების არჩევით ბლოკს, საიდანაც 3 მოდულისაგან უნდა მოხდეს 1 მოდულის არჩევა - ჯამური 7 კრედიტის მოცულობით.

საჰაერო ხომალდების ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის (A) მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 88 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში იმ პროფესიულ სტუდენტთათვის, რომელნიც პროგრამას გადიან ინტეგრირებული სახით, სავალდებულოა დამატებით ინტეგრირებული მოდულების გავლა, 30 კრედიტის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს ინფორმაციული წიგნიერების მოდულის გავლას. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 116 კრედიტი.

არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი უნდა დააგროვონ 118 კრედიტი არაინტეგრირებული, ხოლო 146 კრედიტი ინტეგრირებული პროგრამისათვის, რომელთაგან კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო 88 ან ინტეგრირებული პროგრამის შემთხვაში 116 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამით;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- უნივერსიტეტის მისიით https://ssu.edu.ge/mission-vision-values/;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით- დადგენ.05/02 18.02.21 ;
- კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგ. 28/25 13.05.25;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით 2021-2027 წწ.;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.24.03.25 დადგენილება 05/01
- ბაზრის კვლევის მტკიცებულებები;
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წერილებით
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B , რამდენიმე A გარემო, პროგრამის შესაბამისი C გარემო რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ასევე, ლაბორატორიები ინტეგრირებული მოდულებისათვის, სასწავლო გარემოების აღჭურვილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, როგორც დაწესებულების, ისე პარტნიორ კომპანიაში. კერძოდ, მოდული „პრაქტიკა 1 (A)“ განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, ხოლო მოდული „პრაქტიკა 2 (A)” განხორციელდება პარტნიორ კომპანიაში. როგორც ავღნიშნეთ ზემოთ პრაქტიკა ხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს“ ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში და კომპანია შპს ჯეო სქაი ტექნიკსი (150 პროფესიულ სტუდენტზე) პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია მოდულის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ასევე, სპორტის მოდულისთვის უნივერსიტეტს აქვს ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედანი რომელიც აღჭურვილია შესაბამისად. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უნივერსიტეტის გათვლით თითო ჯგუფში იქნება არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, გარემოც მოწყობილია ამ გათვლით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროგრამებისათვის შემუშავებული სასწავლო ცხრილის პროექტი.სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგრადობა. პროგრამის ზოგადი/ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული მასწავლებელი,ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში მონაწილეობს 15 პროფესიული მასწავლებელი.

ინდიკატორის 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პედაგოგიური პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მოქმედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ პროფესიული მასწავლებლების აკადემიური კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია პროგრამების სწავლის შედეგებით. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა მათგანს აქვს პედაგოგიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გავლილი აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიაში და შეფასების მიმართულებით. უნივერსიტეტს ასევე, შემუშავებული აქვს პედაგოგიური პერსონალის განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მიმდინარეობს სისტემატურად.

გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად იყო ჩართული როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, ისე უნივერსიტეტის პროგრამების შემუშავებისა და ადაპტაციის პროცესებში.

ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ სწავლების შედეგების შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციები, ასევე, აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება.

ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ:საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სამოქალაქო ავიაციის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებია ასევე გამოცდების დაგეგმვა-მენეჯმენტი, შეფასების პროცესების დოკუმენტური უზრუნველყოფა, შეფასების შედეგების ანალიზი, ანგარიშგება და მტკიცებულებების დაარქივება და შენახვა. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის შემუშავებასა და მოდულების ადაპტაციის პროცესებში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.კერძოდ: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალურად. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონულად უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებელ პირებს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა საჭირო მასალებზე.

საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარს, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს რესურსების მიწოდებას როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 10 მომხმარებელზე, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერებს აქვს წვდომა ინტერნეთქსელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფერად პრინტერსა და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას.

ელექტრონული რესურსები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საგანმანათლებლო რესურსები და წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის უნივერსიტეტი იყენებს **OPEN Biblio-ს**;
- დამატებით, უნივერსიტეტს შეძენილი აქვს **ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება**, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის წვდომას შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებზე.
- ასევე უნივერსიტეტს აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონულ პლატფორმებთან: Scopus **http://www.scopus.com**. • Science Direct- **https://www.sciencedirect.com** • Scival Funding(Funding Institutional) **https://www.fundinginstitutional.com**

დამატებით რესურსებად ხელმისაწვდომია:

- ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სახელმძღვანელოების უახლესი რედაქციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები;
- უნივერსიტეტის მიერ გამოცემული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“;
- შოთა რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით შექმნილი საავიაციო სფეროს ილუსტრირებული ქართულენოვანი ლექსიკონი, რომელიც ხელს უწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიის ქართულად ჩამოყალიბებასა და გამოყენებას.

ბიბლიოთეკის მუშაობის რეჟიმი:

- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 09:00-20:00;
- შაბათს – 10:00-15:00;

ბიბლიოთეკაში გამოქვეყნებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ზემოაღნიშნული მიდგომები და ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებსა და განმახორციელებელ პირებს ჰქონდეთ თანამედროვე, მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსები, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.**ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა, რაც გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან. სამართლებრივი რეგულაციები ასევე განსაზღვრავს იმ სამედიცინო შეზღუდვებს, რომლებიც შეიძლება გახდეს პროგრამაზე წვდომის დაბრკოლება. შედეგად, იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ ფიზიკური მოძრაობის, ჯანმრთელობის ან ფუნქციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ზოგ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება კონკრეტულ პროგრამაზე სწავლა.

მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს გარემოს ადაპტაციას, რაც შშმ პირთათვის ხელმისაწვდომს ხდის როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე სერვისულ რესურსებს, მათ შორის ბიბლიოთეკასა და სასწავლო სივრცეებთან წვდომას. პროფესიული პროგრამების ფარგლებში, სსსმ სტუდენტებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და პროგრამის დებულებით (პუნქტი 14), რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო სტრატეგიებს.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესის მოსაწესრიგებლად შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ-ის) შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის უნიკალურ გარემოებებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური გარემოებები, სპორტული ან შემოქმედებითი მიღწევები, მოდულის წინაპირობები, რომლებიც ზღუდავენ პროგრამის სწავლის გაგრძელებას, აკადემიური ვალდებულებების დროული შესრულების გართულება, ან პროგრამაში ცვლილებები. ეს მექანიზმები სტუდენტის განათლების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზეა ორიენტირებული.

ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი და სტაბილური განხორციელებისთვის. თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების კომპონენტებს და ითვალისწინებს პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა რესურსს, მათ შორის:

- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინების ხარჯები
- ინტეგრირებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინების ხარჯები
- პროგრამის განხორციელებისათვის ტექნიკისა და ლაბორატორიების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები
- ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებისათვის ტექნიკისა და ლაბორატორიების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები
- ბიბლიოთეკის ხარჯი
- სარეკლამო ხარჯები
- სტუდენტური ღონისძიებები
- პროგრამის განვითარებაზე გაწეული ხარჯი
- ადმინისტრაციული და სხვა ზოგად საუნივერსიტეტო ხარჯების დაფინანსებისთვის გადაცემული თანხები
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები

დაგეგმვის ეს მოდელი განაპირობებს უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და პროფესიული პროგრამების განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, ბიუჯეტში განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ ანალიზს. წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ხარჯი, ხოლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა დაზუსტებული ბიუჯეტი სადაც განსაზღვრა რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტით ერთი ჯგუფისთვის.

ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- თვითშეფასების კითხვარით;
- უნივერსიტეტის დებულებით -დადგენ.N05/01 24.03.25;
- პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით-დადგ.N08/06 15.07.19;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტებით;
  - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.24.03.25 დადგენილება 05/01
  - სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგ. 28/25 13.05.25;
- ბიბლიოთეკის დებულებით ბრძ.06/14 26.02.2018
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- დაწესებულების მიერ სასწავლო სივრცეების გამტარობის გაანგარიშების ცხრილი
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; კერძოდ:** დაწესებულებაში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობას. აღნიშნული პროცესის მიზანია პროგრამების მუდმივად შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ საერთაშორისო სტანდარტებთან, არსებული კანონმდებლობის ცვლილებებთან, პროფესიულ პრაქტიკასთან და სწავლების თანამედროვე მიდგომებთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლითაც რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვებსა და პროგრამის შეფასებას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში როგორც გამოკითხვებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე აკადემიური მოსწრებისა და უკუკავშირის მეშვეობით. პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს მონაცემებს, ატარებს ანალიზს და შედეგებს ყოველწლიური ანგარიშის სახით წარუდგენს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას.

პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს. გარე მექანიზმები მოიცავს როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ისე სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA), და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მხრიდან განხორციელებულ შეფასებებს, აგრეთვე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რეგულარულ მონიტორინგს.

დაწესებულებაში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლის შედეგების შესაბამისობის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან. ასევე, აღნიშნული მექანიზმები უწყობს ხელს პრობლემების იდენტიფიკაციას და საჭირო ღონისძიებების დროულ გატარებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მის უწყვეტ გაუმჯობესებას

ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელი"დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე დანიშნულია პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი. წესდებით განსაზღვრულია დასაქმებისა და კარიერის განვითარების მენეჯერის ფუნქცია, რომელიც მოიცავს შრომის ბაზრის ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციების ანალიზს, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესწავლას და მიღებული ინფორმაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაზიარებას მათი სამოქმედო პროცესების გაუმჯობესების მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას აქვს შემუშავებული დოკუმენტი Maintenance Training Organisation Exposition, რომელიც ასახავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ავიაციის სპეციალისტთა მომზადების პროცესების მართვისა და მონიტორინგის წესებს. დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია შიდა აუდიტების ჩატარება. დაწესებულებაში დასაქმებულია სერტიფიცირებული აუდიტორი, რომელიც აუდიტების ჩატარებას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის შესაბამისად. აუდიტი მოიცავს პერსონალის, სასწავლო პროცესების და მასთან დაკავშირებული რესურსების შემოწმებას.

შიდა აუდიტების შედეგების განხილვა ხდება ხარისხისა და უსაფრთხოების საბჭოს მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ. საბჭო განიხილავს გამოვლენილ ხარვეზებს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს შესასრულებელ კორექტირებულ მოქმედებებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდება განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებსა და გარე ფაქტორების ცვლილებებს. საგანმანათლებლო პროგრამის მართვისა და მისი ხარისხის მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი 04.09.23
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.24.03.25
- პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურით (#08/05, 08.07.2019)
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით (#08/05, 24.03.2024)
- გასაუბრებით
- კვლევების მეთოდოლოგიით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) "პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს მათზე. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, გათვალისწინებულია სტუდენტთა ინტერესები და საჭიროებები, რაც გამოიხატება შემდეგი მექანიზმებით:სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით, გონივრულ და ხელმისაწვდომ ხანგრძლივობაში;საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სასწავლო ცხრილის კორექტირებას, რათა სტუდენტებისთვის სასურველი და მოსახერხებელი განრიგი შეიქმნას;ცხრილის ცვლილების პროცესში სტუდენტთა ინტერესები და მოსაზრებები სრულად იქნა გათვალისწინებული.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტი მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის სრული დაცვით და მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.
პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საჭირო ცვლილებებს.
ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და სტუდენტთა შეფასებები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზება უნივერსიტეტში გამჭვირვალედ, სამართლიანად და ეფექტურად ხორციელდება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.
უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის სპეციფიკის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. შეფასების პროცესის ფარგლებში განხილული იქნა არაერთი კომპონენტი: ჩატარდა გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, ადგილზე მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე. მათ შორის გამოირჩევარეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე მუშაობის გზით სტუდენტები ავითარებენ პრაქტიკულ უნარებს იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული მიმართულებებისთვის; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სასწავლო სივრცეებს. კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც სტუდენტებს ამზადებს რეალურ სამუშაო პირობებისთვის.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატითაც, რაც ხელს უწყობს სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობასა და მიღებული ცოდნის განმტკიცებას.

შეფასების პროცესის ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან გამართული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა:

- პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ სასწავლო მეთოდოლოგია რეგულარულად იხვეწება და ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს;
- მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ციფრულ და დარგისთვის შესაბამის ტექნოლოგიებს;

საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე MTOE-ს შესაბამისად სწავლებას საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ახორციელებს EASA Part-66-ის და Part-147-ის პროცედურების მიხედვით. სასწავლო პროცესი წარიმართება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებული, მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი ისტრუქტორისა და გამომცდელის მოსამზადებელი კურსი (აღნიშნული კურსი 2 წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ მასწავლებლებმა). მასწავლებლებს ტრენინგები გავლილი აქვთ თეორიული და პრაქტიკული სწავლების, შეფასების და კითხვათა ბანკის შემუშავების/მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებებით. სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს სათანადოდ აღჭურვილ გარემოში. თეორიული მოდულის სწავლებისას კონტროლდება სტუდენტის დასწრება, ხოლო პრაქტიკული სწავლებისას სტუდენტები აწარმოებენ ინდივიდუალურ ჟურნალს (Log-Book). პრაქტიკული სწავლების მინიმუმ 35% უნდა შესრულდეც სერტიფიცირებულ ტექნიკური მომსახურების საწარმოში.

შეფასების შედეგად დადგინდა:

✓ უნივერსიტეტი ეფექტურად ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებას;

✓ გამოყენებული მეთოდები ემყარება ინოვაციურ მიდგომებს და ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას;

✓ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს;

✓ პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს სწავლების პროცესის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც შინაარსობრივ, ისე სტრუქტურულ თვალსაზრისით, აგებულია არსებული სტანდარტებისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პრაქტიკის ინსტრუქტორები ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სტუდენტთან, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურობას.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვას და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები რეგლამენტირებულია, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ და მისი აუცილებლობა იწევს შემდეგი გარემოებებიდან:პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს); სტუდენტს დროებით სჭირდება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმი (მაგალითად, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო); პროფესიული სტუდენტი სარგებლობს შიდა ან გარე მობილობით; სტუდენტს ნაწილობრივ უღრმავდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა; პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლას ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ; სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით საჭირო ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას როგორც კონკრეტული პირისთვის, ისე სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ამას საჭიროებად ან სურვილად აღიარებენ. ისგ-ის შემუშავება შესაძლებელია სასწავლო პროცესის ნებისმიერი ეტაპისთვის.მისი შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული შემდეგი მხარეები:სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერად წარმომადგენელი.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტი სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მიმდინარეობს მათი საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროგრამის ფარგლებში ერთი პროფესიული მოდული: „პრაქტიკა 2 (A)” ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში. უნივერსიტეტის პარტნიორია **შპს ჯეო სქაი ტექნიკსი**

პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს

- უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების შესრულებას;
- სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სახარჯი მასალით მომარაგებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, სერტიფიცირებული ინსტრუქტორების გამოყოფას.

აღნიშნული ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ დარგში არსებულ გამოწვევებს, ასევე, პროფესიული განათლების მიზნებსა და მნიშვნელობას. ისინი გამოხატავენ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია საკუთარი კომპანიისთვის კადრების შერჩევისა და მომზადების შესაძლებლობა.

პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დადასტურებულია ოფიციალური ნებართვებით. უნივერსიტეტი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დადასტურებული ლიცენზიების საფუძველზე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია სწორედ აღნიშნული შესაბამისობა. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები.

პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს: კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას;უზრუნველყოს ინსტრუქტორ(ებ)ის, კოორდინატორის ან განმახორციელებელი პირ(ებ)ის გამოყოფა, რომლებიც უხელმძღვანელებენ სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას და გაუწევენ მათ მხარდაჭერას.

შეფასების პროცესში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება ექსპერტების მიერ და გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელთან. შედეგად დადგინდა, რომ:

- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით;
- გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხსა და ეფექტიანობას.

პრაქტიკის ობიექტები, მათი საქმიანობის პრინციპიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტების სწავლება განხორციელდეს **როტაციის პრინციპით**, რაც გულისხმობს ყველა სტუდენტის თანაბარ ჩართულობას სხვადასხვა სამუშაო პროცესში და სწავლების პროცესის მაქსიმალურად მრავალმხრივ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოწყობას.

უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის პროფესიულ განათლებაში ჩართულობა წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ აქტს, არამედ რეალურ პრაქტიკულ საჭიროებას – **კომპეტენტური კადრების შერჩევისა და მომზადების საშუალებას**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორი კომპანიამ გასაუბრებაში დაადასტურა ინტერესი, რომ წარმატებული და მაღალკვალიფიციური სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკის განმავლობაში გამოავლენენ მაღალი აკადემიური და პრაქტიკული შედეგებს, **მომავალში გახდნენ მათი კომპანიის თანამშრომლები**. ეს პრაქტიკა აძლიერებს პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის კავშირს, ზრდის სტუდენტთა დასაქმებადობას და ხელს უწყობს დარგობრივი სექტორის განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც მოიცავს უსაფრთხო საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის სტანდარტებს, პრევენციულ ღონისძიებებსა და რეაგირების მექანიზმებს. აღნიშნული წესები დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების მიერ და ეფუძნება როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს.

უნივერსიტეტს აქვს შრომის უსაფრთხოების სამსახური, ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სამსახური სხვა სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას როგორც პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის, ისე ვიზიტორებისთვის.

სასწავლო გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების მოთხოვნათა სრული დაცვით: ლაბორატორიები, სახელოსნოები და პრაქტიკული სივრცეები სარგებლობენ თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებით, მათ შორის: ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, სათადარიგო გასასვლელებით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ავარიული განათებითა და მკაფიოდ მონიშნული უსაფრთხოების ნიშნებით. თითოეულ ობიექტზე წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაცია, რომელიც თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული და სტუდენტებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.დაწესებულება, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, ახორციელებს ლიფტის ტექნიკური შემოწმებისა და უსაფრთხოების რეგულარულ კონტროლს.

სასწავლო პროცესში ჩართვამდე ყველა პროფესიული სტუდენტი გადის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, რის შემდეგაც ისინი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს წესების გაცნობასა და მათი დაცვის ვალდებულებას. ინსტრუქტაჟის პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტიზებულია და რეგულარულად განახლდება. შესაბამისად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არა მხოლოდ რეგულაციების არსებობას, არამედ მათ მიზნობრივ და ეფექტიან განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. პარტნიორები ვალდებულნი არიან დაიცვან შრომის უსაფრთხოების სტანდარტები და სტუდენტებს უზრუნველყონ შესაბამისი პირობებით, მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციებითა და მუდმივი ზედამხედველობით. უნივერსიტეტის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებენ მონიტორინგს პარტნიორ ობიექტებზე, რათა დარწმუნდნენ შრომის უსაფრთხოების პირობების შესაბამისობაში. ჩატარებული გასაუბრებებისა და დოკუმენტური შემოწმების საფუძველზე ვლინდება, რომ პრაქტიკის ადგილებზე დაცულია ყველა მოთხოვნილი უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომლები ადასტურებენ, რომ მათ მიეწოდათ უსაფრთხოების ინსტრუქციები და უზრუნველყოფილნი იყვნენ უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოთი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩართულ მხარეთა უკუკავშირი – იქნება ეს ადმინისტრაცია, პროგრამის განმახორციელებელი პირები თუ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები – პოზიტიური და მხარდამჭერია. აღნიშნული უკუკავშირი მიანიშნებს, რომ უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ინტეგრაციას საგანმანათლებლო და პრაქტიკულ პროცესში.

უნივერსიტეტში მოქმედი შრომის უსაფრთხოების სისტემა, მათ შორის როგორც შიდა სასწავლო გარემოში, ისე პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებზე, წარმოადგენს სისტემურად ორგანიზებულ მექანიზმს, რომელიც სრულ შესაბამისობაშია როგორც კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებთან, ისე ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან. ეს უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დაცულობას, რაც მათ აძლევს საშუალებას, ცოდნა და უნარები მიიღონ მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) “;
- პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით-დადგ.N08/06 15.07.19;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით24.03.25 დადგენილება 05/01;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით და თანმდევი დოუმენტაციით;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები 05/01 25.03.25
- უნივერსიტეტის დებულებით -დადგენ.N05/01 24.03.25;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების პროცესისა და კრიტერიუმების შესახებ.დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:განმსაზღვრელი შეფასება– საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს და განმავითარებელი შეფასება – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია რომ შეფასება მკაცრად კონტროლდება არა მარტო უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად. არამედ განმსაზღრელი შეფასებებში ჩართული არიან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლები. თითოეული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას როგორც უნივერსიტეტის, ასევე სააგენტოს მხრიდან. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას. ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა. პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. თეორიული კომპონენტი ფასდება ტესტირებით, რომელშიც პროფესიულმა სტუდენტმა არანაკლებ 75%-ს დადებითად უნდა უპასუხოს, რომ კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვალოს. შეფასების ინსტრუმენტებისთვის უნივერსიტეტი იყენებს EASA-ს მიერ ავტორიზებულს კითხვათა ბანკს. პრაქტიკული დავალებებისთვის ე.წ. დავალების ბარათებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშავია რომ ბანკი მოიცავს სხვადასხვა სირთულის მიხედვით სხვადასხვა ქულით შეფასებულ კითხვებს. მკაცრადაა დაცული ტესტურ დავალებებში კითხვების რაოდენობა სირთულისა და მნიშვნელოვნების მიხედვით. ტესტური დავალებებისათვის მკაცრად კონტროლდება შესრულების დროც, ვინაიდან დარგში მნიშვნელოვანია როგორც სწორი პასუხის ცოდნა, ასევე სხარტი აზროვნება და დროის სწორი მართვაც.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფას. მისი მთავარი ამოცანაა, სისტემის სანდოობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მუდმივი მონიტორინგი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის გზამკვლევი, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები. სწავლების პროცესის, ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს შემოწმების პროცესს, რაც მოიცავს როგორც შიდა ასევე გარე ვერიფიკაციას. შიდა ვერიფიკაცია არის თავად უნივერსიტეტის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებაზე დაკვირვება-შეფასება,უშუალოდ აქცენტირებულია შეფასების სისტემის შემოწმებაზე, რომლისთვისაც უნივერსიტეტი ეყრდნობა შიდა ადამიანურ რესურსს და შიდა ხარისხის მექანიზმებს. შიდა შემოწმებისას უნივერსიტეტი თავად გეგმავს და არის პასუხისმგებელი. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით:შეფასების ინსტრუმენტები, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ასევე შედეგების დადასტურების მტკიცებულებები. ხორციელდება ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, გასაუბრებები პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შიდა ვერიფიკაციის დახმარებით დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და პრაქტიკული. ვერიფიკაცია ეფუძნება სტრუქტურულ ანალიზსა და მჭიდრო თანამშრომლობას პროცესში ჩართულ ყველა ძირითად მხარესთან, პროფესიულ სტუდენტებტან, განმახორციელებლებთან, ადმინისტრაციასთან. რაც განაპირობებს შეფასების სისტემის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტის გამოცდილების თანახმად, ვერიფიკაციის დაწყებამდე პროცესი იგეგმება და სტრუქტურირდებაა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. ჯგუფი, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეიმუშავებს ვერიფიკაციის დეტალური გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ჩასატარებელ მოქმედებებს და მათ შესაბამის ვადებს;
- გადასამოწმებელ ინსტრუმენტებს, პროცესებსა და მტკიცებულებების ფარგლებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ძირითადი მიზნებს, რომლის საფუძველზეც ხდება შეფასების სისტემის ეტაპობრივი ანალიზი და შედეგების განსაზღვრა.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მენეჯერები და სხვა პროფესიული სპეციალისტები. თითოეულ მათგანთან ხორციელდება მიზნობრივი ინტერვიუები, რაც საფუძვლად ედება არსებული პრაქტიკის მრავალმხრივ ანალიზს.

ასევე ტარდება გარე ვერიფიკაცია სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერაც. პროცესში მონაწილეობას ღებულობენ დარგის ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სტანდარტებისა და რეგულაციათა პრაქტიკული ცოდნა. მათი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს როგორც ზოგად ხარისხობრივ, ისე დარგობრივ სტანდარტებს.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, მან აღწერა ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული პროცესები.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება არქივში(ელექტრონული დოკუმენტაციისთვის შესაბამისი ელ სივრცე/სერვერი), სტუდენტის პორტფოლიოში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: უნივერსიტეტი შედეგიანად და სტრუქტურირებულად იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის პროგრესისა და ზოგადი განვითარებისთვის. აღნიშნული მიდგომა შეფასებას მხოლოდ მონიტორინგის ფუნქციით არ განიხილავს, არამედ იგი ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში როგორც განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი.

შეფასების შედეგები სისტემურად აისახება პროგრამის მართვასა და განვითარებაზე. პროგრამის განმახორციელებელი პირები — პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები, პრაქტიკის კოორდინატორები — აქტიურად აანალიზებენ მიღებულ შედეგებს და მათ საფუძველზე ნერგავენ განახლებულ მიდგომებსა და ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც სასწავლო მეთოდების ოპტიმიზაციას, ისე შეფასების სისტემის დახვეწასა და სტუდენტზე მორგებული მხარდაჭერის მოდელის განვითარებას.

განმავითარებელი/შუალედური გამოცდების შემდეგ სტუდენტები იღებენ ინდივიდუალურ, მიზნობრივ რეკომენდაციებს, რაც ეხმარებათ სწავლის პროცესში არსებულ სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა და დაძლევაში. ამავე დროს, მათ ეძლევათ საშუალება, კონკრეტული მიმართულებებით მიიღონ საჭირო აკადემიური ან მენტორული დახმარება, რაც საგრძნობლად ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ სასწავლო მიზნების მიღწევის დადასტურებაში, არამედ ქმნის საფუძველს მათი კარიერული და პროფესიული განვითარების შემდგომი ეტაპებისთვის. შეფასების პროცესიდან მიღებული ანალიტიკური დასკვნები, ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ასახავს უნივერსიტეტის მზადყოფნას პროგრესზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შედეგად, სტუდენტები იღებენ კონკრეტულ მხარდაჭერას და ამავდროულად, მთელი სასწავლო პროცესი განიცდის უწყვეტ გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ყველა შეფასება აისახება სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში რაც სწავლის დაწყებიდანვე ქმნის მის ერთგვარ განვითარების მოდელს, რაც შემდგომ მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა კარიერული წინსვლისთვის. ხშირად დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო კონკრეტული დროისთვის არსებული შედეგი, არამედ მისი განვითრების დინამიკაც.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.24.03.25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი 04.09.23
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით (#08/05, 24.03.2024)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის გზამკვლევი 05/02 13.05.24
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.06.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: